საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, გიორგი დანელიას ქუჩა #12-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე

ექსპერტიზის თარიღი	11.09.2024

დასკვნის გამოყენების წესები:

- საექსპერტო დასკვნა მოიცავს ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან შესაბამისობის შეფასებას და არ ეხება სხვა რაიმე ნორმატიულ თუ ინდივიდუალურ აქტებთან შესაბამისობის ანალიზს.

- საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით.

- საპროექტო ობიექტის შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით. არქიტექტურულ პროექტში, ასევე მშენებლობის პროცესში და ექსპლუატაციის შემდგომ განხორციელებული ისეთი სახის ცვლილება, რომელიც შეთანხმებული არაა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების ექსპერტთან ავტომატურად გამოიწვევს გაცემული საექსპერტო დასკვნის გაუქმებას.

- არქიტექტურული პროექტში ისეთი ცვლილება, რომელიც შეუსაბამობაში მოდის წინამდებარე დასკვნის ნაწილებთან, შეთანხმებული უნდა იყოს შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების ექსპერტთან.

- ექსპერტი პასუხს აგებს მხოლოდ არქიტექტურული პროექტის ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობაზე და არა მის განხორციელებაზე ან/და მშენებლობის პროცესში, ასევე ექსპლუატაციის შემდგომ მისგან გადახვევაზე.

- ექსპერტიზისათვის გადმოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომწოდებელ მხარეს.

ექსპერტიზისათვის გადმოცემული მასალის ჩამონათვალი:

1. განმარტებითი ბარათი;
2. შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი;
3. პირობითი აღნიშვნები;
4. დასაგეგმარებელი მიწის ნაკვეთის გეგმა;
5. დასაგეგმარებელი შენობის ყველა სართულის გეგმა *(არქიტექტურული ნაწილი)*;
6. დასაგეგმარებელი შენობის ფასადები *(არქიტექტურული ნაწილი)*;
7. დასაგეგმარებელი შენობის ჭრილები *(არქიტექტურული ნაწილი)*;
8. დასაგეგმარებელი შენობის ყველა სართულის გეგმა *(დაკავებულობის და გასასვლელი საშუალებების ნაწილი)*;
9. დასაგეგმარებელი შენობის ყველა სართულის გეგმა *(ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილი)*;
10. დასაგეგმარებელი შენობის ჭრილები *(ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილი)*;
11. დასაგეგმარებელი შენობის ყველა სართულის გეგმა *(მისაწვდომობის ნაწილი)*;
12. გზა-კიბეების დეტალიზაციები;
13. ფასადის დეტალიზაციები;
14. სახურავის დეტალიზაციები;
15. მისაწვდომობის დეტალიზაციები.

დასკვნის სარჩევი:

გამოყენების და დაკავებულობის კლასიფიცირების შეფასება ---------- 1

შენობის ზოგადი სიმაღლისა და ფართობის შეფასება ---------- 2

კონსტრუქციის ტიპის შეფასება ---------- 3

ავტომობილებთან დაკავშირებული დაკავებულობების შეფასება ---------- 4

ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება ---------- 5

ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება ---------- 6

გასასვლელი საშუალებების შეფასება ---------- 7

მისაწვდომობის შეფასება ---------- 8

შიგა გარემოს შეფასება ---------- 9

გარე კედლების შეფასება ---------- 10

სახურავის ანაწყობების და სახურავზედა ნაგებობების შეფასება ---------- 11

წყალსადენი სისტემების შეფასება ---------- 12

ლიფტის შეფასება ---------- 13

პროექტის ზოგადი აღწერილობა:

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, გიორგი დანელიას ქუჩა #12-ში, #01.14.06.006.163 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე. საპროექტო მიწის ნაკვეთს საზოგადოებრივი სივრცე ესაზღვრება ჩრდილოეთით, არსებული მისასვლელი გზის მხრიდან. დანარჩენ არეალებში კი შემოფარგლულია რეგისტრირებული მიწის ნაკვეთით.

ამ ეტაპზე დაგეგმილია შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის კორექტირება. კორექტირების შედეგად იცვლება შემდეგი:

1. გარე ღია ავტოსადგომს დაემატა შშმ პირთათვის განკუთვნილი სადგომები.
2. ქუჩასა და შენობას შორის არსებული დონეთა სხვაობის გამო მოეწყო კედელი და ლითონის მოაჯირი.
3. ტერიტორიას დაემატა მცირე ზომის კალათბურთის მოედანი.
4. საპროექტო მიწის ნაკვეთზე განთავსდა ტრანსფორმატორი.
5. შეიცვალა ავტოსადგომის კვამლგამწოვის მდებარეობა.
6. 1-5 ღერძებში სარდაფის ნაცვლად განთავსდა ავტოსადგომი და აღნიშნულის ხარჯზე გაიზარდა ავტოსადგომების რაოდენობა.
7. -6.45 ნიშნულზე 17-18 ღერძებში მოეწყო დამხმარე სათავსი.
8. ავტოსადგომზე შესასვლელი კარი გაიზარდა 6,0 მეტრამდე.
9. +9.90 ნიშნულზე გაერთიანდა #59 და #60 ბინა.
10. +16.65 ნიშნულზე გაიზარდა ბინა #46-ის ტერასა.

საპროექტო შენობას სახანძრო მანქანა უდგება გ. დანელიას ქუჩის მხრიდან, ფასადის მთელ სიგრძეზე. ასევე შენობასთან მისადგომი უზრუნველყოფილია საპროექტო მიწის ნაკვეთის უკანა ეზოშიც, ფასადის მთელ სიგრძეზე. სახანძრო მანქანის მისადგომი გზების მოწყობისადმი განსაზღვრული საკითხები სავალდებულოდ უნდა შეთანხმდეს სავანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში.

დასაგეგმარებელი მიწის ნაკვეთი ხასიათდება რელიეფურობით, შესაბამისად ტექნიკური რეგლამენტზე დაყრდნობით გამოვლინდა მიწის საკონტროლო დონის დადგენის აუცილებლობა. მიწის დონედ განისაზღვრა 560.978 ნიშნული, რომლის მიხედვით გამოვლინდა მიწის დონის ქვედა და მიწის დონის ზედა სართულების რაოდენობა.

შენობის ფუნქციური დანიშნულებები სართულებზე გადანაწილებულია შემდეგი სახით:

- მიწის დონის ქვედა II სართული (-6.45 ნიშნულზე) - შემოზღუდული ავტოსადგომი, ტექნიკური დანადგარებისათვის განკუთვნილი ოთახი და დამხმარე სათავსო;
- მიწის დონის ქვედა I სართული (-3.30 ნიშნულზე) - კომერციული ფართები;
- მიწის დონის ზედა I - V სართულები (0.00 - +16.50 ნიშნულებზე) - საცხოვრებელი ერთეულები;

დასაგეგმარებელი შენობის ყველა ნაწილი, გარდა შემოზღუდული ავტოსადგომისა, მისაწვდომია შშმ პირთათვის, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ მისაწვდომი სადგომები განთავსებულია იმავე დონეზე ღია ავტოსადგომზე, აღნიშნული დასაშვებად მიგვაჩნია. მისაწვდომობასთან დაკავშირებული ვრცელი ანალიზი იხილეთ წინამდებარე დასკვნის მე-8 თავში და დასკვნაზე თანდართულ მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტის საფუძველზე განხორციელებულ შეფასებაში.

საპროექტო შენობის კონსტრუქციული ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია სულ მცირე 2 საათით (0.00 ნიშნულს ქვემოთ კი 3 საათით), სხვადასხვა ანაწყობებთან მიმართებაში კი დაცულია ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები, რომელთა შესახებ დეტალური ანალიზი მოცემულია წინამდებარე დასკვნის მე-5 თავში.

საპროექტო შენობა ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემებითაა აღჭურვილი. თითოეული ასეთი სისტემის მიმართ ანალიზი მოცემულია დასკვნის მე-6 თავში.

საპროექტო შენობის ფასადები შეილესება და შეიღებება, უმეტეს წილად კი მასზე გამოყენებული იქნება ალუმინის ვიტრაჟები. პროექტში თანდართულია ფასადის დეტალური ნახაზები.

1 გამოყენების და დაკავებულობის კლასიფიცირების შეფასება:

- შენობის თითოეული ნაწილი დაკავებულობის და გამოყენების მიხედვით დაკლასიფიცირებულია 302 ქვეთავის შესაბამისად.

- შენობაში გამოყენებულია შემდეგი დაკავებულობის ჯგუფები:

  - **სავაჭრო ჯგუფი სვ** (სავაჭრო სივრცეები -3.30 ნიშნულზე) - შეესაბამება 309.1 ქვეთავს, რომლის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება შენობა ან ნაგებობა ან მათი ნაწილი, სადაც გამოფენილია და იყიდება საქონელი, ასევე, განთავსებულია ამგვარი საქონლის მარაგი, ნაკეთობები და სავაჭრო საქონელი და მისაწვდომია საზოგადოებისათვის.

  - **საცხოვრებელი ჯგუფი სც-2** (საცხოვრებელი ერთეულები 0.00 და +16.50 ნიშნულებზე) - შეესაბამება 303.3 ქვეთავს, რომლის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება ისეთი საცხოვრებელი ერთეულები, სადაც დამკავებლები, უმთავრესად, მუდმივად ცხოვრობენ.

  - **მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-2** (შემოზღუდული ავტოსადგომი -6.45 ნიშნულზე) - შეესაბამება 311,3 ქვეთავს, რომლის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება ღია ან შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟები;

  - **საშუალო საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-1** (დამხმარე სათავსი **-6.45 ნიშნულზე**) - შეესაბამება 311,2 ქვეთავს, რომლის თანახმად ამ ჯგუფს საწყობად გამოყენებული შენობები, რომლებიც არ კლასიფიცირდება, როგორც სწ-2 ჯგუფი.

  - **საშუალო საფრთხის შემცველი საქარხნო-სამრეწველო ჯგუფი სმ-1** (სახანძრო ტუმბოს ოთახი -6.45 ნიშნულზე) - შეესაბამება 306.2 ქვეთავს, რომლის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება შენობა-ნაგებობის ისეთი ნაწილები, სადაც ხდება სხვადასხვა წარმოებითი პროცესი.

- თითოეული სივრცისთვის მინიჭებული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი შეესაბამება 1004.1.2 ცხრილს:

  - სავაჭრო სივრცეები ---------- 2.8 მთლიანი;
  - საცხოვრებელი ერთეულები ---------- 18.6 მთლიანი;

- ავტოსადგომი ---------- 18.6 მთლიანი;
- დამხმარე სათავსი ---------- 46.5 მთლიანი;
- Სახანძრო ტუმბოს ოთახი ---------- 27.9 მთლიანი;

- ზემოაღნიშნული ფაქტორების მიხედვით არის შემდგომ დაანგარიშებული დაკავებულობის დატვირთვა (იატაკის ფართობი გაყოფილია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე). გეგმებზე დატანილი თითოეული სივრცის დაკავებულობის დატვირთვა სწორად არის განხორციელებული.

2 შენობის ზოგადი სიმაღლის და ფართობის შეფასება:

- საპროექტო შენობის ის სართულები, რომლებზეც განლაგებულია საცხოვრებელი ერთეულები, გამიჯნულია შვეულად და დაყოფილია ხუთ ბლოკად. თითოეული ასეთი ბლოკი ერთმანეთისაგან გამიჯნულია 706 ქვეთავის შესაბამისი ცეცხლმედეგი კედლით, რომლის შესახებ დეტალური ანალიზი ჩაშიფრულია წინამდებარე დასკვნის მე-5 თავში. თუმცა შენობაში ასევე გამოყენებულია რეგლამენტის 510.2 ქვეთავი, შენობის თარაზულად გამიჯვნის თაობაზე, რომლის გამოყენების შედეგად შენობა ითვლება თარაზულადაც გამიჯნულად და განიხილება შენობის განსხვავებულ ნაწილებად, რათა განისაზღვროს ფართობის ზღვრები, ცეცხლმედეგი კედლების უწყვეტობა, სართულების რაოდენობის შეზღუდვები და კონსტრუქციის ტიპი.
  სწორედ აღნიშნული ქვეთავის მოთხოვნებიდან გამომდინარე გამმიჯნავი თარაზული ანაწყობის ქვემოთ შენობა უნდა განეკუთვნოს IA კონსტრუქციას, რაც წარმოდგენილი დოკუმენტაციით დაცულია:
  - ✓ საპროექტო შენობის +0.00 ნიშნულის ფილის ქვემოთ შენობა შეესაბამება IA კონსტრუქციას;
  - ✓ +0.00 ნიშნულს ზემოთ კი - IB კონსტრუქციას.

  ყოველივე აღნიშნული ასევე შესაბამისობაშია 503 ცხრილის მოთხოვნებთან, თითოეულ სართულზე დაკავებულობის ჯგუფის, ფართობის, სართულიანობის და შენობის სიმაღლის გათვალისწინებით.

- საპროექტო შენობის სიმაღლე მიწის დონიდან განსაზღვრულია 25.5 მეტრით და შენობაში განთავსებულია მიწის დონის ზედა 6 (ექვსი) და მიწის დონის ქვედა 2 (ორი) სართული.

3 კონსტრუქციის ტიპის შეფასება:

- საპროექტო შენობა წარმოადგენს თარაზულად და შვეულად გამიჯნულ კონსტრუქციებს. +0.00 ნიშნულზე განთავსებული თარაზული გამმიჯნავის ქვემოთ საპროექტო შენობის კონსტრუქციული ტიპი განსაზღვრულია I-A კონსტრუქციის სახით, ხოლო გამმიჯნავ თარაზულ ანაწყობს ზემოთ - I-B ტიპის სახით.

- საპროექტო შენობის კონსტრუქციის ტიპები (I-A და I-B) შენობის სიმაღლის, სართულიანობის, დაკავებულობის ჯგუფის და თითოეულ სართულზე დაკავებულობის ჯგუფების ფართობის გათვალისწინებით, სწორად არის შერჩეული. რაც შეეხება შენობის კონსტრუქციული ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხებს, ცეცხლმედეგობისადმი მოთხოვნები უნდა განისაზღვროს 601 ქვეთავის შესაბამისად:

  - ✓ I-A ტიპის კონსტრუქციისთვის - *შენობის ისეთ ელემენტებს, როგორიცაა: ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო, გარე და შიგა მზიდი კედლები - უნდა გააჩნდეს სულ მცირე 3 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი; იატაკის და სახურავის კონსტრუქციას და არაძირითად ნაწილებს - სულ მცირე 2 საათიანი ცეცხლმედეგობა.*
  - ✓ I-B ტიპის კონსტრუქციისთვის - *შენობის ისეთ ელემენტებს, როგორიცაა: ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო, გარე და შიგა მზიდი კედლები, იატაკის და სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები - უნდა გააჩნდეს, სულ მცირე 2 საათიანი ცეცხლმედეგობა.*
  - ✓ *თავის მხრივ აღსანიშნავია, რომ +0.00 ნიშნულზე განთავსებული თარაზული ანაწყობისათვის მინიმალური ცეცხლმედეგობის ხარისხი უზრუნველყოფილ უნდა იქნას არანაკლებ 3 საათით, თანახმად 510.2 ქვეთავისა.*

არქიტექტურული პროექტის ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილში გრაფიკულად ასახულია ასეთი კონსტრუქციული ელემენტების მოთხოვნილ ცეცხლმედეგობის ხარისხისხებთან მიმართებაში შესაბამისობა, თუმცა კონსტრუქციული ელემენტების ცეცხლმედეგობების ხარისხი ასევე უნდა დაზუსტდეს კონსტრუქციულ პროექტში „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს 721 და 722 ქვეთავების მიხედვით.

- რაც შეეხება შენობის გარე არამზიდ კედლებს, მათი ცეცხლმედეგობის ხარისხებთან მიმართებაში დაცულია 602 ცხრილის და 705.8.5 ქვეთავის მოთხოვნები. ერთ საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი სავალდებულოდ განისაზღვრა „18-1“ ღერძებში ფასადისათვის, „ა-ზ“ და „ზ-ა“ ღერძებში განთავსებული ფასადებისათვის კი კომერციული სართულის დონეზე განისაზღვრა 2 საათით, საცხოვრებელი ერთეულების დონეზე - 1 საათით.

4 ავტომობილებთან დაკავშირებული დაკავებულობების შეფასება:

- წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს -6.45 ნიშნულის დონეზე შემოზღუდული ავტოსადგომების მოწყობას. ავტოსადგომის მოწყობა ასევე გათვალისწინებულია გარე სივრცეშიც.

- გარე ავტოსადგომი არ შეესაბამება 406.3 პუნქტით განსაზრვრულ კერძო გარაჟებს და გადახურულ ავტოსადგომებს და ასევე 406.4 პუნქტით განსაზღვრულ საზოგადოებრივ (დანიშნულების) ავტოსადგომ გარაჟებს, შესაბამისად აღნიშნულ ავტოსადგომს არ აქვს მინიჭებული რომელიმე დაკავებულობის ჯგუფი, რაც წესებთან მიმართებაში სწორია, თუმცა მასზე გავრცელებულია 406.9 ქვეთავით გათვალისწინებული მოთხოვნები, რაც სრულად არის შესაბამისობაში წესებთან.

- ავტოსადგომის სივრცეში დაკმაყოფილებულია მიკროავტობუსისთვის გასათვალისწინებელი თავისუფალი სიმაღლე (მასთან მისადგომი არეალის საზღვრებში) მინიმუმ 2.50 მეტრის სახით, თანახმად „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტი“-სა.

- შემოზღუდული ავტოსადგომი უზრუნველყოფილია მექანიკური განიავების სისტემით, რაც აკმაყოფილებს 406.6.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- შემოზღუდული ავტოსადგომი უზრუნველყოფილია ავტოსაშხეფი სისტემით, თანახმად 406.6.3 ქვეთავისა.

- ავტოსადგომებზე ავტომობილისთვის განკუთვნილი ადგილის ზომები შეესაბამება 406.9.3-ე ქვეთავის მოთხოვნებს.

- საავტომობილო გზის სიგანე აკმაყოფილებს 406.9.4.1 და 406.9.4.7 ქვეთავების მოთხოვნებს.

- საავტომობილო გზისდა პანდუსის ყველა შიგა მოხვევის რადიუსი აკმაყოფილებს 406.9.4.2-ე პუნქტის მოთხოვნას.

- საავტომობილო პანდუსების დახრის პროცენტი აკმაყოფილებს 406.9.4.4 პუნქტის მოთხოვნებს.

- ავტოსადგომზე ავტომობილისათვის განკუთვნილი გასავლელის სიგანე (თითოეული სადგომისთვის) აკმაყოფილებს 406.9.4.3.1 ცხრილის მოთხოვნებს.

- ავტომობილისთვის განკუთვნილ თითოეულ ადგილს აქვს ინდივიდუალური და მარტივი მისადგომები, რაც შეესაბამება 406.9.4.5-ე პუნქტის მოთხოვნას.

- გარე ავტოსადგომზე მოწყობილი შშმ პირთათვის გათვლილი ავტომობილის სადგომების რაოდენობა შეესაბამება 1106.1 ცხრილს, ხოლო გაბარიტული ზომები „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს. გარდა ამისა გათვალისწინებულია მიკროავტობუსისთვის განკუთვნილი სივრცე, წესების 1106.5 ქვეთავისა და „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტი“-თ განსაზღვრული ზომების შესაბამისად.

- ავტოსადგომზე ავტომობილებისთვის განკუთვნილი ადგილები დახაზულია, თანახმად 406.9.4.6 ქვეთავისა.

5 ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება:

- საპროექტო შენობა დაყოფილია 706 ქვეთავის შესაბამისი ცეცხლმედეგი კედლების საშუალებით. ცეცხლმედეგი კედლები თავის მხრივ უზრუნველყოფს შენობის ურთიერთდამოუკიდებელ და გამიჯნულ ნაწილებად ჩამოყალიბებას, რაც საჭიროა 1021 ქვეთავთან შესაბამისობისათვის.

  საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია 706 ქვეთავის მოთხოვნები, კერძოდ:

  - ცეცხლმედეგი კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი შეესაბამება 706.4 ქვეთავს, კერძოდ განსაზღვრულია 3 საათით.
  - უზრუნველყოფილია ცეცხლმედეგი კედლის თარაზული უწყვეტობა 706.5 ქვეთავის 1-ლი გამონაკლისის და 706.5.2 ქვეთავის მიხედვით.

- ცეცხლმედეგი კედლის შვეული უწყვეტობა უზრუნველყოფილია 510.2 ქვეთავის შესაბამისი თარაზული ანაწყობიდან, თანახმად 706.6 ქვეთავის მე-5 გამონაკლისისა. ცეცხლმედეგი კედელი იწყება თარაზული გამმიჯნავიდან და ცდება სახურავის ზედაპირს სულ მცირე 76 სმ-ით.
- ცეცხლმედეგ კედელში გამოჭრილი ღიობები პასუხობს 706.8 ქვეთავის მოთხოვნას.

- რაც შეეხება შენობის თარაზულ გამიჯვნას, გამიჯვნა უზრუნველყოფილია 510.2 ქვეთავის შესაბამისად. კერძოდ:

  - შენობა, +0.00 ნიშნულზე, გამიჯნულია თარაზული ანაწყობით, რომლის ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 3 საათით.
  - თარაზული ანაწყობის ქვემოთ შენობაში განთავსებულია მხოლოდ მიწის დონის ქვედა სართულები.
  - თარაზული ანაწყობის ქვემოთ შენობა IA ტიპის კონსტრუქციაა.
  - შახტების და გზა-კიბეების განკუთვნილი თარაზული ანაწყობის გადამკვეთი შემოზღუდული სივრცის ცეცხლმედეგობის ხარისხი, არანაკლებ, 2 საათია და აქვს დაცული ღიობები.
  - თარაზული ანაწყობის თავზე მდებარე შენობაში განთავსებულია სც ჯგუფის დაკავებულობები და დაკავებულობის დატვირთვა 300-ზე ნაკლებია.
  - თარაზული ანაწყობის ქვემოთ მდებარე შენობა მთლიანად დაცულია 903.3.1.1 ქვეთავის შესაბამისი ავტოსამხეფი სისტემით. თარაზულ ანაწყობის ქვემოთ დასაშვებია სწ-2 ჯგუფის ავტოსადგომის და სვ ჯგუფის განთავსება *(აქვე აღსანიშნავია, რომ ტექნიკურ რეგლამენტში დაშვებულია ტექნიკური ხარვეზი, ნაცვლად სვ ჯგუფისა მოცემულია სმ ჯგუფი, რაც შეუსაბამოა წესების ორიგინალ ვერსიასთან, IBC 2012-თან).*
  - შენობის მაქსიმალური სიმაღლე შეესაბამება 503 ქვეთავის მოთხოვნას.

- შენობის ნაშვერებთან მიმართებაში (ისეთთან როგორიცაა: გარე აივნები, სახურავის ნაშვერები და სხვა) დაცულია 705.2 ცხრილით განსაზღვრული მოთხოვნები.

- ფასადზე მოწყობილ ღიობებს შორის დაცულია 705.8.5 ქვეთავით განსაზღვრული მოთხოვნა. მომიჯნავე სართულებზე გარე კედლების ღიობები გამიჯნულია შვეულად, სულ მცირე, 90 სმ-იანი გარე კედლებით, რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 1 საათით და ასევე გამიჯვნა სხვადასხვა არეალში უზრუნველყოფილია ალის ზღუდარებით, რომლებიც ვრცელდება თარაზულად გარე კედლიდან 76 სმ-ზე მეტად და ასეთი

თარაზული ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება +0.00 ნიშნულზე - 3 საათს, ხოლო დანარჩენ სართულებზე - 2 საათს.

რაც შეეხება შიგა გასასვლელის გზა-კიბის მომსახურე ღიობებისა და მისი მომიჯნავე ღიობების გამიჯვნის საკითხს, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ შიგა გასასვლელის გზა-კიბე თავად წარმოადგენს შვეულ ღიობს და მისი შუალედური ბაქნები არ განიხილება სართულის დონეებად 705.8.5 ქვეთავის მიზნობრიობიდან გამომდინარე და ამას გარდა გზა-კიბეების ღიობებთან მიმართებაში არ მოითხოვება 1022.7 ქვეთავის უზრუნველყოფა, ვინაიდან შიგა გასასასვლელი გზა-კიბის გარე კედლები, მომიჯნავე კედლებთან მიმართებაში არ ქმნის 180 გრადუსზე ნაკლებ გრადუსიან კუთხეს.

- გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი აკმაყოფილებს 705.8 ცხრილის მოთხოვნას.
- შენობის სახურავის თითოეულ დონეს ემსახურება 705.11 ქვეთავის შესაბამისი პარაპეტი.
- შახტებისაგან შენობის ფართობების გამმიჯნავი წარმოადგენს ცეცხლმედეგ ზღუდეებს, რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 2 საათს, რაც შეესაბამება 707.3.1, 713.2 და 713.4 ქვეთავების მოთხოვნას.
- შიგა გასასვლელის გზა-კიბეებისგან შენობის ფართობების გამმიჯნავი წარმოადგენს ცეცხლმედეგ ზღუდეებს, რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 2 საათს, რაც შეესაბამება 707.3.2 და 1022.2 ქვეთავების მოთხოვნას.
- -6.45 ნიშნულზე განთავსებული გზა-კიბეების მომსახურე ვესტიბიულები აგებულია 909.20.2 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით.
- თითოეული სართულის დონეზე დერეფნების ცეცხლმედეგობის ხარისხი პასუხობს 1018.1 ცხრილის მოთხოვნას.
- -6.45 ნიშნულზე განთავსებული ლიფტის ფოიე მომიჯნავე ფართებისაგან გამიჯნულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ცეცხლმედეგი ტიხრით, ხოლო ასეთ კედელში მოწყობილი კარის ანაწყობის ცეცხლმედეგობა უტოლდება 90 წუთს. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 713.14.1 ქვეთავისა და 708 ქვეთავის მოთხოვნებს.
- ასევე დაცულია 420.2 და 420.3 ქვეთავების მოთხოვნები, კერძოდ საცხოვრებელი ერთეულები ერთმანეთისაგან გამიჯნულია ერთ და ორ საათიანი ცეცხლმედეგობის

ცეცხლმედეგი ტიხრებით და ასევე საცხოვრებელი ერთეულები მის ქვედა და ზედა ფართებისაგან გამიჯნულია სულ მცირე 2 საათიანი ცეცხლმედეგობის თარაზული ანაწყობებით.

- დაკავებულობების გამიჯვნა შესაბამისობაშია 508.4 ცხრილის მოთხოვნასთან, კერძოდ:
  - სწ-2 ჯგუფი სვ ჯგუფისგან გამიჯნულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის თარაზული ანაწყობით;
  - სწ-2 ჯგუფი სმ-1 ჯგუფისაგან გამიჯნულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ცეცხლმედეგი ზღუდეებით;

- -6.45 ნიშნულზე დამხმარე სათავსო არაა გამიჯნული ავტოსადგომისაგან, თუმცა არნიშნული დასაშვებია 508.2.4 ქვეთავით.

- შენობაში განთავსებულია რამოდენიმე ცეცხლისაგან დაცული ფართობი, კერძოდ თითოეული სართული წარმოდგენს ცეცხლისაგან დაცულ ფართობს და ასევე +0.00 ნიშნულს ზემოთ სც-2 ჯგუფის თითოეული ბლოკი წარმოადგენს ურთიერთ გამიჯნულ, ცეცხლისაგან დაცულ სივრცეს.

- ცეცხლმედეგ ზღუდეებში მოწყობილი ღიობების მაქსიმალური საერთო სიგანე კედლის სიგრძის 25% არ არის, ხოლო თითოეული ინდივიდუალური ღიობის მაქსიმალური ფართობი არ აღემატება 15 $მ^2$-ს. ასევე გასათვალისწინებელია, რომ ღიობების საერთო სიგანე კედლის სიგრძის 25%-მდე არ იზღუდება შიგა გასასვლელის გზა-კიბის შემომზღუდავებისათვის. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 707.6 ქვეთავის მოთხოვნას.

- კარის ღიობის ცეცხლისაგან დამცავი ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 716.5 ცხრილის შესაბამისად.

6 ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება:

ავტოსაშხეფი სისტემა:

- თანახმად 510.2 ქვეთავისა, 0.00 ნიშნულზე განთავსებული, შენობების თარაზულად გამმიჯნავი თარაზული ანაწყობის ქვემოთ მდებარე შენობა მთლიანად დაცული უნდა იყოს 903.3.1.1 ქვეთავის შესაბამისი ავტოსაშხეფი სისტემით. რაც საინჟინრო დოკუმენტაციის თანახმად დაცულია. ამასთანავე ავტოსაშხეფი სისტემის ვალდებულება განისაზღვრება -6.45.ნიშნულზე განთავსებული შემოზღუდული ავტოსადგომისათვის, თანახმად 903.2.10 ქვეთავისა.

- თანახმად 903.2.8 ქვეთავის 1-ლი გამონაკლისისა, სკ-2 ჯგუფის მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობა, რომლის დაკავებული იატაკი არ მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან 37 მ-ზე ზემოთ არ საჭიროებს ავტოსაშხეფი სისტემით უზრუნველყოფას.

- თანახმად 903.2.11.3 ქვეთავისა, ავტოსაშხეფი სისტემა უნდა დააყენონ შენობებში, სადაც სახანძრო-სამაშველო სამსახურის ავტომობილის მისადგომიდან 16,8 მ-ზე ან 16,8 მ-ზე მაღლა მდებარე იატაკის დონის დაკავებულობის დატვირთვა 30 ან 30-ზე მეტია. აღსანიშნავია, რომ სახანძრო მანქანის მისადგომის ყველაზე დაბალი არეალიდან, ბოლო დაკავებული იატაკის ნიშნულამდე სიმაღლე ცდება 16.8 მეტრს, თუმცა თითოეულ ბლოკში აღნიშნული სიმაღლის მიღმა დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი არ აღემატება 30 ერთეულს.

სახანძრო მილდგარების სისტემა:

- 905.3.1 ქვეთავის თანახმად III კლასის სახანძრო მილდგარების სისტემები უნდა დააყენონ მთელ შენობაში, თუ ყველაზე მაღალი სართულის იატაკის დონე 9,0 მეტრით ზემოთაა სახანძრო ავტომობილის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან. მილდგარები საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია შენობაში.

- თანახმად 905.6 ქვეთავისა, III კლასის სახანძრო მილდგარების სისტემების სახელოს მისაერთებლები უნდა განთავსდეს 905.4 ქვეთავში I კლასის და 905.5 ქვეთავში II კლასის სახანძრო მილდგარებისათვის განსაზღვრულ ადგილებში.

თანახმად 905.4 ქვეთავისა:

- გზა-კიბეებზე სახელოს მისაერთებელი უნდა მდებარეობდეს მიწის დონის ზემოთ და ქვემოთ ყოველი იატაკის დონეზე. სახელოს მისაერთებლები უნდა მდებარეობდეს იატაკებს შორის არსებულ შუალედურ დონეზე, თუ სხვაგვარად შეთანხმებული არაა სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან; წარმოდგენილი საინჟინრო პროექტით, მილდგარები განთავსებულია გზა-კიბეების შესასვლელებთან, დერეფნის საზღვრებში თითოეული სართულის დონეზე, ხოლო -6.45 ნიშნულზე ავტოსადგომის საზღვრებში ლიფტის ჰოლის შესასვლელებთან. ასეთი სახით მილდგარების განთავსების საკითხი უნდა შეთანხმდეს სახანძრო-სამაშველო სამსახურში.

თანახმად 905.5 ქვეთავისა:

- II კლასის სახანძრო მილდგარების სახელოს მისაერთებლები უნდა იყოს ადვილად მისადგომი და ისე განლაგებული, რომ შენობის ყველა ნაწილი მოექცეს 30 მ სიგრძის სახელოზე მიმაგრებული თავაკიდან 9,0 მ-ის საზღვრებში. აღნიშნული მოთხოვნა წარმოდგენილი პროექტით დაცულია.

ხელის ცეცხლმაქრები:

- ხელის ცეცხლმაქრები განთავსებულია მთელ შენობაში, თითოეული სართულის დონეზე, სახანძრო კარადებში, რაც შეესაბამება, 906 ქვეთავის მოთხოვნას.

სახანძრო განგაშის და ცეცხლაღმოჩენი სისტემები:

- მთელი შენობა აღჭურვილია სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფებით, რომლებიც ააქტიურებს დამკავებელთა შეტყობინების სისტემას, ხმოვანი და ვიზუალური სირენების ხარჯზე. ყოველივე აღნიშნული შესაბამისობაშია 907 ქვეთავის მოთხოვნებთან.

- კვამლზე მორეაგირე მაუწყებლები განთავსებულია სც-2 ჯგუფის თითოეულ ცალკეულ საძინებელ ფართობზე, რაც შეესაბამება 907.2.11.2 ქვეთავს.

- იმის გათვალისწინებით, რომ ლიფტის და ავტოსადგომის დონეზე კიბის ტამბურების დაწნევის სისტემა უნდა გააქტიურდეს კვამლაღმომჩენით, სავალდებულოა თითოეული სართულის დონეზე, დერეფნები და ავტოსადგომის დონეზე ლიფტის ფოიეები, ასევე ავტოსადგომის დონეზე კიბის ტამბურები უზრუნველყოფილი იყოს კვამლაღმომჩენებით, რაც წარმოდგენილი პროექტით დაცულია და რაც შეესაბამება 909 და 907 ქვეთავების მოთხოვნას.

- კვამლაღმომჩენებით უზრუნველყოფილია სავაჭრო სივრცეები და -6.45 ნიშნულზე მდებარე სარდაფი, რაც ასევე დამატებითი უსაფრთხოების წყაროა. შემოზღუდული ავტოსადგომი კი აღჭურვილია CO და თბური დეტექტორებით.

კვამლის საკონტროლო სისტემები:

- შემოზღუდული ავტოსადგომის დონეზე, თითოეული კიბის უჯრედისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს დამოუკიდებლად მექანიკურად განიავებადი ტამბურები. რაც წარმოდგენილი არქიტექტურული და საინჟინრო პროექტით დაცულია. დაწნევასთან დაკავშირებული მითითებები დაცული და გათვალისწინებული უნდა იყოს 909 ქვეთავის შესაბამისად.

- დაწნევის სისტემით არის აღჭურვილი შენობაში განთავსებული ლიფტის შახტები. ლიფტის შახტის დაწნევის სისტემა სრულად უნდა პასუხობდეს 909.21 ქვეთავის მოთხოვნებს, რაც საავალდებულოდ გასათვალისწინებელია საინჟინრო დოკუმენტაციის დამუშავებისას.

სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები:

- საპროექტო შენობა აღჭურვილია სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლით.

- სახანძრო მისაერთებლები განთავსებულია სახანძრო მანქანის მისადგომის მხრიდან და ადვილად დასანახი და ამოსაცნობია, რაც აკმაყოფილებს 912.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- მისაერთებელთან დაცულია 0,8მ.X0.9მ. და 2 მეტრის სიმაღლის თავისუფალი სივრცე, რაც შეესაბამება 912.3.2 ქვეთავის მოთხოვნას.

7 | გასასვლელი საშუალებების შეფასება:

- შენობაში განთავსებულია სც-2 ჯგუფის საცხოვრებელი ერთეულები, შესაბამისად დაცულია 1021.2(1) ცხრილის მოთხოვნა, კერძოდ:

  - 0.00 ნიშნულის ფილის ხარჯზე შენობა გამიჯნულია თარაზულად ორ ნაწილად, გამმიჯნავი თარაზული ანაწყობის ზემოთ განთავსებულია საცხოვრებელი ერთეულები, რომლებიც ასევე გამიჯნულია შვეულად ცეცხლმედეგი კედლების ხარჯზე და მიღებულია ოთხი ურთიერთ გამიჯნული და დამოუკიდებელი ბლოკი. აღნიშნულის თაობაზე დეტალური ანალიზი მოცემულია დასკვნის მე-5 თავში. ზემოაღნიშნული თითოეული გამიჯნული ბლოკის იატაკის მთლიანი ფართობი არ აღემატება 400 მ^2-ს.

  - 0.00 და +16.50 ნიშნულებზე განთავსებულია საცხოვრებელი ერთეულები. თავის მხრივ საცხოვრებელი ერთეული წარმოადგენს ისეთ ერთეულს რომელიც გამოიყენება, გამიზნულია ან დაგეგმარებულია საცხოვრებად, საარენდოდ, სალიზინგოდ, ოთახების გასაქირავებლად და (და)საქირავებლად. საპროექტო შენობაში განთავსებული საცხოვრებელი ერთეულები სრულად პასუხობს აღნიშნულ მოთხოვნას. შესაბამისად 1021.2(1) ცხრილის გამოყენებაც ამ ნაწილშიც გამართლებულია.

  - საპროექტო შენობის სართულიანობა არ აღემატება 8 სართულს და ამასთანავე არ წარმოადგენს მაღლივს, რაც ასევე შესაბამისობაშია ზემოაღნიშნული ცხრილის მოთხოვნასთან.

  - თითოეულ სართულზე, საცხოვრებელი ერთეულების რაოდენობა არ აღემატება 5 ერთეულს, გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური მანძილი კი არცერთი ერთეულისთვის არ აღემატება 38 მეტრს, რაც აკმაყოფილებს 1021.2(1) ცხრილის მოთხოვნებს.

- -6.45 ნიშნულზე განთავსებული ავტოსადგომი, მისი დაკავებულობის დატვირთვისა და გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილის მიხედვით საჭიროებს 2 გასასვლელის მოწყობას. წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია 4 გასასვლელი გზა-კიბის მოწყობა, რაც აკმაყოფილებს 1021 ქვეთავის მოთხოვნებს.

- -3.30 ნიშნულზე განთავსებული თითოეული კომერციული ფართი მათი დაკავებულობის დატვირთვისა და გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილის მიხედვით საჭიროებს 2 გასასვლელს. წარმოდგენილი პროექტით, თითოეული ასეთი სივრცისთვის გათვალისწინებულია სულ მცირე 2 გასასვლელი გზა-კარის სახით. ყოველივე აღნიშნული აკმაყოფილებს 1021 ქვეთავის მოთხოვნებს.

- -6.45 ნიშნულზე განთავსებული სარდაფი მისი დაკავებულობის დატვირთვისა და გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილის მიხედვით აკმაყოფილებს 1021.2(2) ცხრილის მოთხოვნებს, შესაბამისად აღნიშნული სივრცისთვის საკმარისია ერთი გასასვლელის მოწყობა.

- 0.00 - +16.50 ნიშნულებზე, თითოეულ გამიჯნულ შენობაში განთავსებული გზა-კიბე გარე სივრეს უკავშირდება პირდაპირ, თანახმად 1022.1 ქვეთავისა.

- შიგა გასასვლელის გზა-კიბეებისგან შენობის ფართობების გამმიჯნავი წარმოადგენს ცეცხლმედეგ ზღუდეს, რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 2 საათს. აღნიშნული აკმაყოფილებს 1022.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- თითოეული სივრცისთვის დაკმაყოფილებულია 1015 ქვეთავის მოთხოვნა.

- იმ სივრცეებში სადაც საჭიროა ერთზე მეტი გასასვლელი კარის მოწყობა, ორ გასასვლელ კარს შორის დაცულია სივრცის მაქსიმალური დიაგონალის ერთმეორედზე მეტი მანძილი, რაც აკმაყოფილებს 1015.2.1 ქვთავის „1“ გამონაკლისის მოთხოვნას.

- გზა-კიბის გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც 7,6 მმ-ია თითო დამკავებელზე. ასეთი სახით გამოთვლილი კიბის გამტარუნარიანობა ნაკლებია 1009.4 ქვეთავით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე. წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით დაკმაყოფილებულია როგორც 1009.4 ქვეთავით, ისე 1007.3

ქვეთავით განსაზღვრული მოთხოვნა და შიგა გასასვლელის გზა-კიბეების სიგანე სახელურებს შორის უტოლდება 1.22 მეტრს.

- გასასვლელი საშუალებების სხვა კომპონენტების (დერეფნის) გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც თითო დამკავებელზე 5,1 მმ-ია. დერეფნების გამტარუნარიანობა აკმაყოფილებს როგორც 1018.2 ცხრილის მოთხოვნებს, ისე 1005.3.2 ქვეთავის შესაბამისად გამოთვლილს და დერეფნის თავისუფალი სიგანე 0.00 - +13.20 ნიშნულებზე უტოლდება სულ მცირე 1.50 მეტრს, ხოლო შენობიდან გამოსასვლელის დონეზე სულ მცირე 1.40 მეტრს.

- გასასვლელი საშუალებების სხვა კომპონენტების (კარის) გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც თითო დამკავებელზე 5,1 მმ-ია. ასეთი სახით გამოთვლილი კარის გამტარუნარიანობა გაცილებით ნაკლებია 1008.1.1 ქვეთავით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე (0.82 მეტრის სახით). წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით დაკმაყოფილებულია წესების მოთხოვნები და საპროექტო შენობის მომსახურე თითოეული გასასვლელი საშუალების კარის თავისუფალი სიგანე სულ მცირე 0.82 მეტრია.

- გზა-კიბის საზღვრებში გასავლელის თავისუფალი სიმაღლე არ არის 2,05 მეტრზე ნაკლები, რაც შეესაბამება 1009.5 ქვეთავის მოთხოვნას.

- კიბის საფეხურების ზომები შეესაბამება 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს. თითოეული კიბის საბიჯელების სიღრმე განსაზღვრულია 30 სმ-ით, ხოლო ამაღლება 16.5 სმ-ით. ამასთანავე საფეხურების ერთგვაროვნება დაცულია, თანახმად 1009.7.4 ქვეთავისა.

- შიგა გასასვლელის გზა-კიბის ბაქნები აკმაყოფილებს 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს.

- იატაკის დონეებსა ან ბაქნებს შორის კიბის მარშის შვეული ამაღლება არ აღემატება 3.7 მ-ს, თანახმად 1009.10 ქვეთავისა.

- გზა-კიბეების მოაჯირები აკმაყოფილებს 1013 ქვეთავის მოთხოვნებს.

- გზა-კიბეების სახელურები აკმაყოფილებს 1012 ქვეთავის მოთხოვნებს.

- შენობის სახურავის დონეზე მიდგომა ხდება მონაცვლესაფეხურებიანი კიბის საშუალებით, რაც აკმაყოფილებს 1009.16 ქვეთავის მოთხოვნებს.
- მონაცვლესაფეხურებიანი კიბეები აკმაყოფილებს 1009.13 ქვეთავის მოთხოვნებს.
- გასასვლელის ყველა კარი იღება გვერდითა ანჯამების საშუალებით, რაც შეესაბამება 1008.1.2 ქვეთავის მოთხოვნას.
- გასასვლელებთან მისადგომი სავალი მანძილი, ყველა სართულზე აკმაყოფილებს 1016.2 ცხრილით განსაზღვრულ მაქსიმალურ მაჩვენებლებს.
- საერთო სავალი ბილიკები აკმაყოფილებს 1014 ქვეთავის მოთხოვნებს.
- ყველა იმ ფართში სადაც ავეჯი ან შესაბამისი ინვენტარია განთავსებული, გასავლელის სიგანე აკმაყოფილებს 1017.3 და 1017.5 ქვეთავების მოთხოვნებს.
- თითოეულ გასასვლელის კარს ემსახურება გასასვლელის ნიშანი, თანახმად 1011.1 ქვეთავისა. გასასველლის ნიშნების განათებულობა გათვალისწინებულია. ამობურცული ნიშნებითა და ბრაილით წარწერა „გასასვლელი/EXIT“ მოწყობილია გასასვლელის ყველა გზა-კართან, რაც შეესაბამება 1011.4 ქვეთავის მოთხოვნას.
- გზა-კიბის ამოსაცნობი ნიშანი, მათ შორის ბრაილითა და ამობურცული სიმბოლოებით მოწყობილია გზა-კიბის იატაკის დონეზე არსებულ თითოეულ ბაქანზე.

8 მისაწვდომობის შეფასება:

- თანახმად 1103.1 ქვეთავისა, დროებითი ან მუდმივი ადგილები, შენობები, ნაგებობები, საშუალებები, ელემენტები და სივრცეები, მისაწვდომი უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. აღნიშნული მოთხოვნა საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია და მთელი საპროექტო შენობა და მიწის ნაკვეთი მისაწვდომია. მისაწვდომობის მიღმაა შემოზღუდული ავტოსადგომი, სადაც არაა განთავსებული მისაწვდომი სადგომები.
- მისაწვდომი სვლაგეზი უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი სივრცეებიდან შენობის ყველა შესასვლელემდე და შენობის ყველა დაკავებულ დონეზე, თანახმად 1104 ქვეთავისა.

- თანახმად 1104.5 ქვეთავისა, მისაწვდომი სვლაგეზები უნდა ემთხვეოდეს საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკს ან მდებარეობდეს იმავე ფართობზე, რომელზეც საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკი. თუ მიმოსვლის ბილიკი შიგა სივრცეშია, მისაწვდომი სვლაგეზიც შიგა სივრცეში უნდა იყოს. თუ მისაწვდომი სვლაგეზი მხოლოდ ერთია, ის არ უნდა კვეთდეს სამზარეულოებს, სათავს ოთახებს, დასასვენებელ ოთახებს, საკუჭნაოებსა და მსგავს სივრცეებს. აღნიშნული მოთხოვნა საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია. მისაწვდომი სვლაგეზის პარამეტრები შეესაბამება „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს. იხილეთ სტანდარტის შეფასება.

- საპროექტო შენობის ყველა მთავარი შესასვლელი მისაწვდომია, რაც შეესაბამება 1105.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- ავტოსადგომები უზრუნველყოფილია 1106.2 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით შესაბამისი რაოდენობის მისაწვდომი სივრცეებით და ასეთი მისაწვდომი სადგომები განთავსებულია ღია ავტოსადგომის საზღვრებში. რადგანაც მხოლოდ ღია ავტოსადგომია ათვისებული მისაწვდომი სადგომებით და მისაწვდომობა არაა დაცული შემოზღუდული ავტოსადგომის დონეზე, სადგომების რაოდენობა კომპენსაციის მიზნით გაცილებით მეტია ვიდრე აღნიშნულს 1106.2 პუნქტი მოითხოვს.

- თანახმად 1106.5 ქვეთავისა, ყოველი ექვსი მისაწვდომი ავტოსადგომი სივრციდან, სულ მცირე, ერთი ან მათგან რაღაც ნაწილი მიკროავტობუსებისთვის მისაწვდომი ავტოსადგომი სივრცე უნდა იყოს. მიკროავტობუსისათვის მისაწვდომი სივრცე განთავსებულია შენობის გარეთ, ღია ავტოსადგომზე. მიკროავტობუსისათვის განსაზღვრული პარამეტრები შეესაბამება „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს. იხილეთ სტანდარტის შეფასება.

- მისაწვდომი შესასვლელიდან მისაწვდომი ავტოსადგომი სივრცეები მდებარეობს უმოკლეს მისაწვდომ სვლაგეზზე, რაც შეესაბამება 1106.6 ქვეთავის მოთხოვნას.

- თანახმად 1107.6.2.1.1 ქვეთავისა, ვინაიდან საპროექტო შენობაში საცხოვრებელი ერთეულების საერთო რაოდენობა გაცდა 20 ერთეულს, სავალდებულოდ განისაზღვრება „ა“ ტიპის ერთეულების საკითხი. შენობაში საცხოვრებელი ერთეულების საერთო რაოდენობა უტოლდება 86 ერთეულს, შესაბამისად მათგან 2 საცხოვრებელ ერთეულს მოეთხოვება „ა“ ტიპთან შესაბამისობა; ხოლო თანახმად 1107.6.2.1.2 ქვეთავისა, ყველა დანარჩენი საცხოვრებელი ერთეული უნდა იყოს „ბ“ ტიპის შესაბამი, რაც წარმოდგენილი პროექტით დაცულია.

- საპროექტო საავჭრო ფართებს ემსახურება მისაწვდომი ტუალეტის ოთახები, რაც შეესაბამება 1109.2 ქვეთავს.

- მისაწვდომ სვლაგეზზე მდებარე სამგზავრო ლიფტი მისაწვდომია შშმ პირთათვის და აკმაყოფილებს „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს. იხილეთ სტანდარტის შეფასება.

- შენობაში მისაწვდომ სივრცეებს ემსახურება შესაბამისი რაოდენობის მისაწვდომი გასასვლელი საშუალება, რაც შეესაბამება 1007.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- თითოეული აუცილებელი მისაწვდომი გასასვლელი საშუალება უწყვეტად მიემართება საზოგადოებრივი გზისკენ და მოიცავს მისაწვდომ გზა-კიბეებს, მისაწვდომ სვლაგეზს და მისაწვდომ პანდუსს, რაც შეესაბამება 1007.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- მისაწვდომი გზა-კიბეები შეესაბამება 1007.3 ქვეთავის მოთხოვნას.

- შშმ პირთათვის განკუთვნილ ლიფტთან და თავშესაფრის ფართობებზე, შენობის ყველა სართულის დონეზე (გარდა შენობიდან გამოსასვლელისა), მოწყობილია ორმხრივი კავშირის სისტემა და მისი გამოყენების ინსტრუქცია რაც შეესაბამება 1007.8 და 1007.8.2 ქვეთავების მოთხოვნას. გასათვალისწინებელია, რომ ორმხრივი კავშირის სისტემები უნდა უზრუნველყოფდეს კავშირს ყველა საჭირო ადგილსა და ცენტრალურ საკონტროლო წერტილს შორის. იქ, სადაც ცენტრალურ საკონტროლო პუნქტში მუდმივად არ მორიგეობენ, ორმხრივი კავშირის სისტემას უნდა ჰქონდეს სინქრონული, ავტომატური ტელეფონის ციფრების დისკო, რომლითაც შესაძლებელია სამეთვალყურეო ადგილთან დაკავშირება ან 112-ზე დარეკვა.

- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო, შესაბამისი წარწერის ამობურცული სიმბოლოებითა და ბრაილის წარწერით, განთავსებულია მისაწვდომ ტუალეტებთან, რაც შეესაბამება 1110.1 ქვეთავს. მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო ასევე მოწყობილია ლიფტთან, თითოეული სართულის დონეზე.

- თითოეულ გასასვლელის კარს ემსახურება გასასვლელის ნიშანი, თანახმად 1011.1 ქვეთავისა. გასასველლის ნიშნების განათებულობა გათვალისწინებულია. ამობურცული ნიშნებითა და ბრაილით წარწერა „გასასვლელი/EXIT“ მოწყობილია გასასვლელის ყველა გზა-კართან, რაც შეესაბამება 1011.4 ქვეთავის მოთხოვნას.

- გზა-კიბის ამოსაცნობი ნიშანი, მათ შორის ბრაილითა და ამობურცული სიმბოლოებით მოწყობილია გზა-კიბის იატაკის დონეზე არსებულ თითოეულ ბაქანზე.
- თავშესაფრის ფართობთან გამავალ კართან მოწყობილია ნიშანი წარწერით „თავშესაფრის ფართობი“. ასეთი ნიშანი განათებულია. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1007.9 ქვეთავის მოთხოვნას.
- თავშესაფრის ფართობთან მოწყობილია ნიშანი, თავშესაფრის ფართობის გამოყენების წესების მითითებებით, რაც შეესაბამება 1007.11 ქვეთავს,

9 შიგა გარემოს შეფასება:

- 0.00 - +16.50 ნიშნულებზე განთავსებული საცხოვრებელი ერთეულები ნიავდება ბუნებრივად ფანჯრებისა და კარების საშუალებით და გარე გასაღები ღიობების ჯამური ფართობი გაღებულ მდგომარეობაში აღემატება გასანიავებელი იატაკის ფართობის 4%-ს. ასეთი ბუნებრივი განიავების წყარო გადის საზოგადოებრივ სივრცეში და 1206 ქვეთავის შესაბამის ეზოში. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1203.4, 1203.4.1 და ქვეთავებს.
- -3.30 ნიშნულზე განთავსებული კომერციული ფართები და -6.45 ნიშნულზე განთავსებული სარდაფი ვერ ნიავდება ბუნებრივად, შესაბამისად უზრუნველყოფილია მექანიკური განიავების სისტემების მოწყობა.
- -6.45 ნიშნულზე განთავსებული შემოზღუდული ავტოსადგომი ნიავდება მექანიკურად, თანახმად 406.6.2 ქვეთავისა.
- რაც შეეხება ტუალეტის და სააბაზანო ოთახებს, ასეთი სივრცეები ნიავდება მექანიკურად, რაც შეესაბამება 1203.4.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- ასევე მექანიკურად ნიავდება 0.00 - +16.50 ნიშნულებზე საერთო სარგებლობის დერეფნები.
- გასასვლელის საავარიო განათება მოწყობილია გასასვლელი საშუალებების ყველა ნაწილში (გზა-კიბის თითოეული სართულის დონეზე, საერთო სარგებლობის დერეფნებში თითოეული სართულის დონეზე, ავტოსადგომზე და კომერციული სივრცეებში). ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1205.5 და 1006.1 ქვეთავების მოთხოვნებს.

- ბუნებრივი განიავების და განათების მიზნით მოწყობილი ღიობები გადის ეზოში, რომელიც იმავე საკუთრებაშია, რომელზეც დგას შენობა. ეზოს სივანე აკმაყოფილებს 1206.2 ქვეთავის მოთხოვნას.
- თითოეული დაკავებული და გამოყენებადი სივრცის ჭერის სიმაღლე არ არის 2,3 მ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 1208.2 ქვეთავს.

10 გარე კედლების შეფასება:

- გარე კედლის ატმოსფერული ზემოქმედებისაგან დამცავი კონვერტი არ მოეთხოვებათ ბეტონით ან წყობით აგებულ კედლებს, თანახმად 1403.2 ქვეთავის 1-ლი გამონაკლისისა. საპროექტო შენობის გარე კედლები წარმოადგენს რკინა ბეტონის ანაწყობს, შესაბამისად გარე კედლისათვის არაა სავალდებულო ატმოსფერული ზემოქმედებისაგან დამცავი კონვერტის, მათ შორის 1404.2 ქვეთავის შესაბამისი წყალმედეგი ზღუდის მოწყობა.
- რაც შეეხება გარე კედლის მოპირკეთებას, ფასადები ილესება და იღებება.
- რაც შეეხება ორთქლშემაკავებლებს, აღნიშნულის მოწყობა სავალდებულოა მე-5, მე-6, მე-7, მე-8 და მე-4 (საზღვაო) კლიმატურ ზონეში. საქართველოს ტერიტორიაზე ვრცელდება სამი კლიმატური ზონა (1-ლი, მე-3, მე-7) და მხოლოდ ქვეყნის ჩრდილოეთის მაღალ მთიან რეგიონებშია სავალდებულოა შენობა-ნაგებობებში ორთქლშემაკავებლების მოწყობა. საპროექტო შენობაში ორთქლშემაკავებლების მოწყობა არაა სავალდებული, თანახმად 1405.3 ქვეთავისა.
- რაც შეეხება ჰიდროიზოლაციას, იგი მოწყობილია გარე კედლისა და ფანჯრის ანაწყობების, გარე კედლისა და სახურავის გადაკვეთის არეალებში, რაც აკმაყოფილებს 1405.4 ქვეთავის მოთხოვნას.

11 სახურავის ანაწყობების და სახურავზედა ნაგებობების შეფასება:

- სახურავის ანაწყობი შედგება რკინაბეტონის ფილისგან, ორთქლის ბარიერისგან, ჭეოტექსტილისგან, წყალგაუმტარი დამცავი ფენისგან, დათბუნებისგან, მემბრანისგან და გრაველისგან.
- ჰიდროიზოლაცია მოწყობილია კედლისა და სახურავის გადაკვეთის ადგილებში, რაც შეესაბამება 1503.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- სახურავის დახრა უტოლდება 2%-ს.
- სახურავის ბურულის კლასიფიკაცია უნდა განისაზღვროს B კლასის კატეგორიით. B კლასის სახურავის ანაწყობებად ითვლება ის ანაწყობები, რომლებიც უძლებს ზომიერი ცეცხლის ზემოქმედებას.

12 წყალსადენი სისტემების შეფასება:

